



ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრის ფუნქციები (მუხლი 65)

- მოსთხოვეთ ამომრჩეველს წარმოადგინოს:
 - ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა/ID ბარათი ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი
 - ✓ იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში - დევნილის მოწმობა პირადობის მოწმობასთან/ID ბარათთან ან პასპორტთან ერთად
 - ✓ ერთიან სიაში რეგისტრირებულ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეს - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს პასპორტი
- შეამოწმეთ არის თუ არა ამომრჩეველი შეყვანილი ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში და შეადარეთ ამომრჩევლის პირადი ნომერი ამომრჩეველთა სიაში არსებულ ნომერს
- თუ ამომრჩეველი შეყვანილია ამომრჩეველთა სიაში, გაუკეთეთ ამომრჩეველს მარკირება
- ამომრჩეველთა სიაში თქვენი ხელმოწერით დაადასტურეთ საარჩევნო ბიულეტენის გაცემა
- სთხოვეთ ამომრჩეველს, ამომრჩეველთა სიაში თავისი გვარის გასწვრივ ხელმოწერით დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენის მიღება
- მოაწერეთ ხელი საარჩევნო ბიულეტენის უკანა გვერდზე
- დაამოწმეთ საარჩევნო ბიულეტენი (უკანა გვერდზე, ამისთვის განკუთვნილ ადგილზე) რეგისტრატორის ბეჭდით
- გადაეცით ამომრჩეველს თქვენ მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დაამოწმებული საარჩევნო ბიულეტენი
- მიუთითეთ ამომრჩეველს, შევიდეს ფარული კენჭისყრის კაბინაში

ყურადღება!

- თუ ამომრჩეველი არ წარმოგიდგენთ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას/ID ბარათს, საქართველოს მოქალაქის პასპორტს, იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში - დევნილის მოწმობას საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობასთან/ID ბარათთან ან პასპორტთან ერთად, ხოლო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქე - ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს პასპორტს მას არ უნდა გადასცეთ საარჩევნო ბიულეტენი
- თუ ამომრჩეველი უარს აცხადებს მარკირებაზე, მას უფლება არა აქვს მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში და არ უნდა გადასცეთ საარჩევნო ბიულეტენი
- ამომრჩეველი, რომელიც ზედა კიდურების არ ქონის გამო ვერ ახერხებს ხმის მიცემის პროცედურების დამოუკიდებლად შესრულებას (ფიზიკური მდგომარეობა), არ გადის მარკირების პროცედურას და მასზე საარჩევნო ბიულეტენის გაცემისას ერთიანი სიის გრაფაში „ამომრჩევლის ხელმოწერა“ უნდა გააკეთოთ ჩანაწერი „ფიზიკური მდგომარეობა“ და დაადასტუროთ პირადი ხელმოწერით
- თუ თქვენ ან ამომრჩეველს გაგიფუჭდებათ საარჩევნო ბიულეტენი, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს და ამომრჩეველს გადაეცით ახალი (თქვენს მიერ ხელმოწერილი და რეგისტრატორის ბეჭდით დამოწმებული) საარჩევნო ბიულეტენი
- თუ საარჩევნო უბანზე გამოცხადდა ამომრჩეველი, რომელსაც ერთიან სიაში მინიჭებული აქვს სტატუსი ”არის საზღვარგარეთ”, აღნიშნული ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს ზოგადი წესით (*საარჩევნო კოდექსი - მუხლი 65*)

გაითვალისწინეთ!

- ✓ რეკომენდებულია რეგისტრატორმა 10:00, 12:00, 15:00, 17:00 და 19:00 საათზე, კენჭისყრის პროცესისთვის ხელისშეუშლელად, გადაითვალოს სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერებისა და მის მიერ გაცემული ბიულეტენების რაოდენობა (თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული ბიულეტენების ჩათვლით). თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც დაერთვება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.
- ✓ რეგისტრატორის ფუნქციის გადაცემის შემთხვევაში, რეგისტრატორი ვალდებულია გადაითვალოს სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერებისა და მის მიერ გაცემული ბიულეტენების რაოდენობა (თავმჯდომარისთვის გადაცემული გაფუჭებული ბიულეტენების ჩათვლით) და შედეგები აცნობოს თავმჯდომარეს. თუ მონაცემებს შორის სხვაობა გამოვლინდა, რეგისტრატორმა დაუყოვნებლივ უნდა დაწეროს ახსნა-განმარტება, რომელიც დაერთვება კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.